საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 720/01
27/01/2022

720-01-2-202201271529

შპს „სტორი ენერჯის"

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,
ანდრია აფაქიძის 11, მე-4 სართული

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 2 დეკემბერის N21698 განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორზე 11.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის „სტორი 2 ჰესის" მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე წარმოდგენილ, დაზუსტებულ დოკუმენტაციას. გაცნობებთ, რომ დამატებით დოკუმენტაციაში სრულყოფილად არ არის მოცემული სამინისტროს 2021 წლის 25 ნოემბრის N12132/01 წერილით მოთხოვნილი საკითხები, კერძოდ:

- სტორი 2 ჰესის ერთიანი, დაზუსტებული Shp ფაილები, სადაც მათ შორის მოცემული იქნება მდ. სვიანასხევზე შეტბორვის უბნის კონტურის Shp ფაილები და საპროექტო ქვესადგურის განთავსების ადგილის დაზუსტებული Shp ფაილები;
- დასაზუსტებელია სანაყაროების განლაგების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი Shp ფაილები: Shp ფაილებში მოცემულია N2 და N3 (ალტერნატიული) სანაყაროები და არ არის მითითებული N1 სანაყაროს კუნტური; წარმოდგენილ სქემატურ ნახაზებზე (სურათი 4.2.7.1) მოცემული სანაყარო ტერიტორიები არ არის თანხვედრაში Shp ფაილებით და GIS კოორდინატებით განსაზღვრულ ტერიტორიებთან, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას; გზშ-ის ანგარიშის მიხედვით (გვ 64), გამონამუშევარი გრუნტის განსათავსებლად შერჩეულია 2 ძირითადი და 1 სარეზერვო ტერიტორია, ამასთან, გზშ-ის ანგარიშში (104 გვ) მითითებულია სანაყაროს ალტერნატიული ტერიტორია. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად რომელი ტერიტორიები შეირჩა სანაყაროებად და რომელი იქნება გამოყენებული სარეზერვოდ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სამშენებლო მოედნების შესახებ, Shp ფაილების და GIS კოორდინატების მითითებით;
- წარმოდგენილი არ არის მდ. სვიანას მაქსიმალური წყლის ხარჯები, ხარჯებსა და დონეებს შორის დამოკიდებულების მრუდი. დოკუმენტში მოცემულია ერთ-ერთი განივი ჭრილი (გაურკვეველია რა ადგილას), რომელზეც ერთი ხაზით ნაჩვენებია კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმე, მაგრამ არ არის მოცემული სათანადო გაანგარიშებები;

- წარმოდგენილია სადერივაციო გვირაბის გრძივი ჭრილი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ჩვენებით (მ.შ. სავარაუდო რღვევის), თუმცა არ არის ნაჩვენები გვირაბის მოსახვის ტიპები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- თევზსავალის წარმოდგენილ ჰიდრავლიკურ გაანგარიშებებში მოცემულია გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია და ნაგებობის ძირითადი მახასიათებლები (გაბარიტები, ხარჯი, სიჩქარე, ენერგიის მოცულობითი გაფანტვის სიდიდე და სხვა), მაგრამ მოცემული არ არის თავად ანგარიშები. ასევე არ არის მოცემული საპროექტო დოკუმენტაცია და დასაზუსტებელია მოცემული შედეგების სისწორე თევზსავალის დანიშნულ გაბარიტებთან მიმართებაში, ამასთან არ არის შესაბამობაში აუზებს შორის გამსვლელი ღიობის გაბარიტები;
- მდ. სვიანაზე სათავე ნაგებობების და ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო ტრაქტის (სადაწნეო და სატურბინო მილსადენები, აკვედუკი, გვირაბი) მშენებლობის ტექნოლოგიური სქემები წარმოდგენილი არ არის. წარმოდგენილია სადერივაციო გვირაბის გაყვანის ტექნოლოგიური სქემა და ბურღვა-აფეთქებების სამუშაოთა პასპორტის ფორმა. წარმოდგენას საჭიროებს გვირაბში სანგრევების რაოდენობა, პორტალებთან მისასვლელი გზების სქემები, პორტალთან მდებარე მეურნეობების სქემები, გვირაბში მასალების მიწოდებისა და ქანების გამოტანის სქემები;
- წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პერიოდის მონიტორინგის ჩასწორებული (შევსებული) პროგრამა (სადერივაციო გვირაბის გასწვრივ ფილტრაციაზე დაკვირვებების დამატებით). წერილში მოცემული ახსნა, რომ გვირაბის გასწვრივ მხოლოდ ერთი წყარო ფიქსირდება, დაბალ ნიშნულებზე და გვირაბის მშენებლობა-ექსპლუატაციას მასზე ზეგავლენა არ ექნება, საჭიროებს დასაბუთებას. გაცნობებთ, რომ წერილით მოთხოვნილი მონიტორინგის (დაკვირვებები ფილტრაციაზე, სადერივაციო გვირაბის გასწვრივ) ძირითად დანიშნულებას გვირაბის მოსახვის მდგომარეობისა და მთის ფერდობის ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობის კონტროლი წარმოადგენს. ამასთან გვირაბიდან ფილტრაციული წყლების მატების შემთხვევაში მოიმატებს არსებული წყაროს დებეტი და მოსალოდნელია ახალი წყაროების გამოჩენაც. აღნიშნული საკითხები სრულყოფილად უნდა იყოს მოცემული დოკუმენტაციაში;
- სათავე ნაგებობების და აკვედუკის მშენებლობის პერიოდში, აგრეთვე სალექარის გარეცხვისას იქთოფაუნისათვის მიყენებული ზარალის პროგნოზი და შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას;
- ანგარიშის ტექსტურ ნაწილში განხილული საშიში გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, ქვათაცვენა) მოცემულია კოორდინატების გარეშე. ასევე ტექსტურ ნაწილზე თანდართულ საკვლევი უბნის გეოლოგიურ რუკაზე არ არის დატანილი კოორდინატთა ბადე. რუკა მომზადებულია მსხვილ მასშტაბში (1:1000), თუმცა რუკა წარმოდგენილია A4 ფორმატში, რის გამოც მისი წაკითხვა შეუძლებელია. აღნიშნული საკითხები საჭიროებს გათვალისწინებას;
- ამასთან, დამატებით წარმოსადგენ დოკუმენტაციაში სრულყოფილად უნდა იქნეს ასახული 2021 წლის 25 ნოემბრის N 12132/01 წერილით მოთხოვნილი ბიომრავალფეროვნების საკითხები. მათ შორის:
    - დაზუსტება-დაკონკრეტებას და სრულყოფილად წარმოდგენას საჭიროებს ჰესის გაწმენდის, ფსკერდაღრმავების და სხვა მსგავსი სამუშაოების წარმოების აღწერისა და მოსალოდნელი ზემოქმედების, ასევე ამ ზემოქმედების თავიდან აცილების/შერბილების შესახებ ინფორმაცია;
    - ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციიდან იკვეთება მოსალოდნელი ზემოქმედების (მათ შორის კუმულაციურის) არსებობა. მითითებულია, რომ მდინარე სტორის 9,2 კმ-იან

მონაკვეთზე ადგილი ექნება წყლის ხარჯის მნიშვნელოვან შემცირებას. ასევე მითითებულია, რომ გაანგარიშებული ხარჯი ნაკლებია საპროექტო მონაკვეთისთვის საანგარიშო მინიმალურ ხარჯებზე და ა.შ. ხოლო მოცემული შემარბილებელი და ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებებით (რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ზოგადი ხასიათისაა) მკაფიოდ ვერ იკვეთება ამ ზემოქმედების თავიდან აცილება-შერბილების შესაძლებლობა რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისი ინფოტმაციის/დასაბუთების წარმოდგენას;

- ბიომრავალფეროვნების კუთხით წარმოსადგენ ინფორმაციაში დეტალურად უნდა იყოს მოცემული და დასაბუთებული მოსალოდნელი ზემოქმედების, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების შესაძლებლობის გზები, კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა, რის შემდგომ სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. **ამასთან, გთხოვთ წერილში მითითებული საკითხების რეაგირების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინოთ ცხრილის სახით, შესაბამის დანართებთან ერთად.**

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე